

I. წარმატების მომტანი ღირებულებები დასავლეთ ევროპის ქრისტიანულ კულტურაში

ანტიკური სამყაროსეული დამოკიდებულებით შრომისადმი დღეს ღატაკთა სამყოფელი უნდა ეყოფილიყავით

ჰანს იოახიმ ჰანნი

განმანათლებლობამ ბერძენი ფილოსოფოსების ხელახალი აღმოჩენით მართლა მიგვიყვანა თავისუფლებისა და კეთილდღეობის ეპოქაში? სად არის ფესვები იმ ღირებულებებისა, რომლებმაც ჩვენ კონტინენტს ეკონომიკური და საზოგადოებრივი პროგრესი მოუტანა? 2011 წლის ნოემბერში ნიურნბერგში გაიმართა ქრისტიანთა საზოგადოების ხელმძღვანელთა კონგრესი. დამსწრე საზოგადოებისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა ინდოეთის ეკონომიკის მკვლევრის პრაბჰუ გუპტარას (Prabhu Gupta) მიერ წარმოდგენილი მოხსენება ამ თემასთან დაკავშირებით, რომელიც მან პლენარულ სხდომაზე წაიკითხა „Unternehmer als Wertelieferanten“ - „წარმოება, როგორც ღირებულებათა გამომხატველი“. მან დასვა კითხვა: როგორ იქცა ცენტრალური ევროპა, რომელიც მე-16 ს-მდე უღარიბესი ქვეყანა იყო, მე-19-ე ს-ში დედამიწის უმდიდრეს კუთხედ?

მისი პასუხი კითხვაზე:

ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი იყო რეფორმაცია, რომელმაც აღადგინა კათოლიკური ეკლესიის მიერ მივიწყებული ბიბლიურ ღირებულებებზე ორიენტირებული კულტურა, რომელიც მოითხოვდა აღებ-მიცემობაში მაღალ ხარისხსა და ზომიერ მოგებას.

რეფორმაციის ეკონომიკური ეთიკა არ იყო ტერმინირებული, როდესაც დარვინიზმი უღმერთობის მწვერვალად მოგვევლინა 1880 წლიდან თავდაპირველად ევროპის ელიტარულ წრეებში, ხოლო მოგვიანებით 1930 წლიდან ამერიკაში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მილიონობით ადამიანთა ინდოქტრინაციის¹ წყალობით მთელ დასავლურ სამყაროში, ამიტომაც დღეს ვლადპარაკობთ მტაცებლური ხასიათის კაპიტალიზმზე: უფრო ძლიერი განდევნის უფრო სუსტს - ზუსტად დარვინის ევოლუციის თეორიის შესაბამისად.

ზოგჯერ საჭიროა სხვა კულტურის წარმომადგენლებმა მოგვაგონოს ჩვენი ძალა და უპირატესობა, როცა ამას დავიწყების საშიშროება ემუქრება. სხვა ძველი კულტურებისათვის და მათი შრომისადმი დამოკიდებულებისათვის უბრალოდ თვალის გადავლება მდიდარი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას გვაძლევს:

ძველ ჩინეთში მაღალი წარმოშობის მოქალაქეები მუშაობდნენ სახელმწიფოს ბიუროკრატიულ აპარატში; დაბალი ფენების წარმომადგენლები ხელოსნები იყვნენ ან სოფლის მეურნეობაში იყვნენ დასაქმებულნი. შესაბამისად, ჩინეთისათვის უცხო იყო ტექნიკური და ეკონომიკური პროგრესი. იგივე ხდებოდა ინდოეთში. არაბული კულტურა მიმე (hart) შრომას ნაკლებად იყენებდა სამეურნეო მოგებისათვის, ამას აღწევდა გონივრული და მოხერხებული ვაჭრობის წყალობით. ხელით შრომის მიმართ ხაზგასმულად უპატიო დამოკიდებულება გვხვდება განმანათლებელთა მიერ ეგზომ პატივცემულ და დაფასებულ ბერძნულ და რომაულ ანტიკურობაში.

¹ საზოგადოების განსწავლა თეორიასა და დოქტრინაში კრიტიკული ანალიზის გარეშე

ქრისტიანობამდელ ათენში საბჭოში (Rat) დასაქმებულ ერთ თავისუფალ მოქალაქეზე, რომელიც პოლიტიკურად იღვწოდა და ფილოსოფოსობდა, ხუთი მონა მოდიოდა საშუალოდ და ხელით შრომა აბუნად იყო აგდებული.

მარკუს ტულიუს ციცერონი არ ფარავდა თავის ანტიპატიას მუშების მიმართ. ათენისა და რომის სიმდიდრე ეფუძნებოდა მონების შრომასა და დაპყრობით ომებს. ებრაული კულტურიდან ინსპირირებული ქრისტიანები სხვაგვარად იქცეოდნენ: მაღალი სულიერი მოძღვრების მასწავლებლად და მქადაგებლად მოწოდებული წმ. მოციქული პავლე არ თაკილობდა თავისი მეკარვეობით ერჩინა თავი და არაფერი ესარგებლა მის მიერ დაარსებული სამრევლოებისაგან (თემებისაგან). მისი მოწოდება იყო „... უკეთუ ვისმე არა უნებს საქმის, ნუცა ჭამნ“ (2 თეს. 3. 10). ხოლო „მპარავი იგი ნულარა იპარავნ, არამედ უფროდსდა შურებოდენ და იქმოდენ კეთილსა თვისთა ხელითა, რადთა აქუნდეს მიცემად, ვის-იგი უწმდეს“ (ეფ. 4. 28). თავისი გარემოცვისაგან განსხვავებით პირველი ქრისტიანებისათვის ხელით შრომა საპატიო საქმიანობა იყო.

ბერძენი ფილოსოფოსებისა და მათი მოძღვრების ხელახალი აღმოჩენით შრომის პატივმა მალე ისევ უკანა პლანზე გადაინაცვლა. სასულიერო წოდება - სამღვდელეობა და იერარქია - საერო ფენაზე მალა დადგა და ისევ დაიყო ადამიანები განსხვავებული ღირებულებების საფეხურების შესაბამისად. აქ იგულისხმება კათოლიკური ეკლესია. რეფორმაცია და რეფორმატორები კი შეეცადნენ შრომისათვის დაებრუნებინათ თავისი პატივი: ლუთერი, ბენედიქტე ფონ ნურსიე და სხვ.

ინჟინერი ფრანც ჰენდრიხსი განიხილავს ევროპულ-ამერიკული ერთობლივი კულტურული სფეროს მიღწევებს ტექნიკის დარგში და აღნიშნავს, რომ სასულიერო მეცნიერებათა ბევრი წარმომადგენელი ამრეზით უცქერის ინჟინრებსა და ტექნიკოსებს და აღნიშნავს, რომ ამის მიზეზია ანტიკურობაში ფესვგადგმული უპატივცემულობა ფიზიკური შრომისადმი. ფრანც ჰენდრიხსი ბოლოს დასძენს:

საბუნებისმეტყველო და ტექნიკური დარგების მეცნიერებმა, რომლებიც ამავე დროს ძალზე თავმდაბლები იყვნენ, აღიარეს, რომ ცოდნა და რწმენა არ გამოორიცხავს ერთმანეთს, არამედ კარგად შეუძლიათ თანაარსებობა. ისეთი კორიფეები, როგორც: კეპლერი, ნიუტონი, ლაიბნიცი, ვატი, ფარადეი, მაქს პლანკი და სხვ. - ღრმად რელიგიურები იყვნენ. მათ მოტივაციას განსაზღვრავდა პასუხისმგებლობა ღვთის წინაშე, რომ არა მარტო ეკვლიათ ბუნება, არამედ სასარგებლო გაეხადათ იგი. პასუხისმგებლობა თანამოძმეების, როგორც ღვთის ხატების წინაშე, უბიძგებდა მათ გამომგონებლობისაკენ, რომლებიც ადამიანებს მათი ღირსების შესაფერის სამუშაო პირობებს შეუქმნიდა, თუმცა ჰენდერიხსი არ გამოორიცხავს თანამდევ საფრთხეს, გააფეტიშონ ცოდნის ყოვლისშემძლეობა და არასწორი მცდელობა ტექნიკის საშუალებით მოიპოვონ თავისუფლება. ამ არასწორი რწმენით სვლა გვემუქრება გადაჭარბებული შრომით გადავიჩესოთ საკუთრივ შექმნილ უფსკრულში. ჩვენი ცოდნისა და ჩვენი მიღწევების გაღმერთებით შრომის მონები ვხდებით. ღვთისაგან და მისგან დადგენილი წესრიგისაგან (კვირაში ერთი დასვენების დღე) მოწყვეტილი შრომა არის დაუნდობელი მონური სისასტიკე.

შრომა, რომელიც ღვთის წინაშე პასუხისმგებლობით კურთხევასა და მადლს და კეთილდღეობას გვაძლევდა, დღეს ღვთისაგან მოწყვეტილი და კერპად ქცეული თვითგანადგურებას გვიმზადებს.

II. რაში გვჭირდება სიმართლე? (ჭეშმარიტება)?

ინტეგრირებითა და ნდობით პროგრესისაკენ

ჰანს იოახიმ ჰაანი

სიმართლე წინაპირობაა არა მხოლოდ წარმატებული ეკონომიკისათვის, არამედ თანაცხოვრების ყოველი სოციალური ფორმისათვის. თუ სიტყვას ფასი და ნდობა არ ექნება, როგორ იფუნქციონირებს პარტნიორობა, ხელშეკრულებები და კოოპერაციები? მაშინ მაკონტროლებელი მექანიზმები უნდა იქნეს შემოდებული, რადგან პატიოსნება და ნდობა აღარ იარსებებს. კონტროლის სისტემაზე გაღებული ხარჯები ამცირებენ სახსრებს ინოვაციებისა და ინვესტიციებისათვის განსაზღვრულს. სამწუხაროდ, ამას მოწმობს ჩვენი საგადასახადო სისტემა და სულ უფრო მზარდი სახელმწიფო ბიუროკრატიული აპარატი. და მაინც, კორუფციისა და გადასახადების დამაღვის ფაქტები და პოლიტიკური სიცრუე გერმანიაში, ივკევს საზოგადოებაში აღშფოთებას; ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენი კულტურა განმსჭვალული იყო ღვთიური საწყისით, რაც გულისხმობდა ერთგულებას და სიმართლეს.

ჩინელი მეურნე და მთავრობის მრჩეველი პროფ. ცჰაო ხიაო (Zhao Xiao) აშშ - აწარმოებდა ამგვარ დაკვირვებას და იკვლევდა იმ საფუძვლებსა და მიზეზებს, რაც განაპირობებდა ამერიკის ეკონომიურ ნახტომს (წინსვლას) ჩინეთთან შედარებით. 2007 წ. ლაიპციგში ქრისტიანი მენეჯერების კონგრესზე მე მასთან 2 სთ. განმავლობაში ვისაუბრე.

ამ საუბრის რეზიუმე:

აშშ-ში ბევრი ეკლესიაა და მათ დიდი გავლენა აქვთ საზოგადოებაზე და შრომით საქმიანობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელები დიდ ფულს გამოიმუშავენ, და კიდევ უფრო მეტსაც მიიღებდნენ, თუ ტყუილს იკადრებდნენ, ისინი არ იტყუებიან. რა არის ამის მიზეზი? ისინი გრძნობენ პასუხისმგებლობას ღვთის წინაშე, რომელიც თავად არის ჭეშმარიტება და სძაგს სიცრუე და კორუფცია.

Zhao Xiao-ს კვლევებმა ის შედეგი გამოიღო, რომ იგი თავად გახდა ქრისტიანი და იბრძვის ჩინეთში ღირებულებათა შეცვლისა და ქრისტიანობისაკენ შემობრუნებისათვის. მას აშინებს ცუდი შედეგების შესაძლებლობა: როცა სიმდიდრე, ბოროტი ადამიანის ხელში აღმოჩნდება.

მაღალი კომპეტენციის მქონე მენეჯერი როგორ გამოადგება თავის ფირმას (მწარმოებელს), თუ იგი ძალზე მაღალი ანაზღაურების შემოთავაზების შემთხვევაში მნიშვნელოვან მონაცემებს მიაწვდის კონკურენტ ფირმას, ან კიდევ სხვა რამ პრაქტიკას მიმართავს და ფირმას ზარალს მიაყენებს. ამიტომაც, დღეს ბევრი მეწარმე ახალი თანამშრომლის აყვანისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სიმართლის ღირებულებას.

სწორედ ნდობა არის ის საფუძველი, რაზეც დაშენდება წარმატებული, გრძელვადიანი საქმიანი ურთიერთობები და საერთოდ ყოველგვარი ადამიანური ურთიერთობები. თუ არ არის ურთიერთნდობა, მაშინ იზრდება კონტროლის მექანიზმი, რაც საინვესტიციო კაპიტალს და მოგებას ამცირებს. ურთიერთნდობას კი სჭირდება ბაზისი: პასუხისმგებლობა ღვთის წინაშე, რომელიც თავად არის ჭეშმარიტება და ჩვენგანაც სიმართლეს მოითხოვს. უწინ გერმანიაში კონტრაქტისათვის საკმარისი იყო პირისპირ შეხვედრა, კონტრაქტი, ხელზე ხელის დაკერა. 70-იანი წლებიდან მომსწრე ვართ ამ ღირებულებების მოშლისა, როგორც ეკონომიკაში, ასევე განათლების სისტემაში და მედიის გავლენის ქვეშ მყოფ საზოგადოებაში. ნეომარქსისტულმა მოძრაობამ და ათეისტურმა ჰუმანიზმმა დაანგრია ქრისტიანული ღირებულებები და მსოფლადქმა უპირველესად სწორედ ნდობის, ერთგულების, ქორწინებისა და

ოჯახის ნგრევის სფეროებში. ქრისტიანული მსოფლხედვა წარმატებით განიღვენა უნივერსიტეტებიდან, საბუნებისმეტყველო და სოციალური მეცნიერებიდან და ტაბუდ გამოცხადდა.

ადამიანთა ღირსების უძვირფასესი მონაპოვრები, რომლებიც ორივე მსოფლიო ომის საშინელებების შემდეგ მთელი სერიოზულობით გაერთიანდა ადამიანთა უფლებების Un-Charta-ში, ათეისტურად მოტივირებული უტილიტარიზმის მიერ უკანა კარიდან განიღვენა.

III. პატივი და პასუხისმგებლობა - ამოწურა ამ ღირებულებებმა თავისი შესაძლებლობა?

ჰანს იოახიმ ჰაანი

პატივისცემა ვლინდება (დამყარებულია) სხვა ადამიანებთან ჩვენს ურთიერთობაში: როგორ აღვიქვამ მე ჩემს თანამშრომელს? როგორც ჩემი გეგმების განხორციელებაში ჩემს დამხმარეებს? არიან ისინი მხოლოდ მომხმარებლები, რომლებთანაც ურთიერთობა რეგულირდება წახალისებით ან კანონით შეზღუდვით? ადამიანები მაშინაც წარმოადგენენ ღირებულებას როცა წყვეტენ ფუნქციონირებას და მოხუცდებიან? სჭირდებათ მათ დახმარება, მზრუნველობა?

რა არის ადამიანის ღირსება? - ეს ტერმინი აზიაში ან აფრიკაში კი არ წარმოშობილა, არამედ ქრისტიანულ ევროპაში. მას შემდეგ, რაც დავძლიეთ შუასაუკუნეების ჯვაროსნული ომები, ძალაუფლებისათვის ბრძოლა, ჯადოქრებისა და მწვალებლების კოცონზე დაწვა, რაშიც ეკლესია ძალაუფლების სიყვარულის გამო ჩაერთო, ევროპელები ვილიამ კარეი (William Carey), ალბერტ შვაიტცერი, დედა ტერეზა და მრავალი სხვა ქრისტესმიერი სიყვარულის გამო მოყვასისადმი გაემგზავრა განსაცდელების მქონე ქვეყნებში კონტინენტის სხვადასხვა მხარეებში. სიცოცხლის საფრთხის მიუხედავად ისინი ავადმყოფებსა და მომაკვდავებს (აგრძნობინებდნენ) განაცდევინებდნენ შემოქმედის ხატად და მსგავსად ყოფნის ღირსებას. მას შემდეგ, რაც William Carey-მ რამდენიმე ინდურ ენაზე გადათარგმნა ბიბლია, დაიწყო ბრძოლა ინდუისტური ტრადიციის წინააღმდეგ, რის მიხედვითაც დაქვრივებულ მანდილოსნებს ცეცხლზე ცოცხლად წვაგდნენ გარდაცვალებულ მეუღლეებთან ერთად. 2008 წ. ერის ვიდემანი სათაურით: „მოკვდი ეკონომიურად!“ „Cicero“-ში აქვეყნებს მოხსენებას სიკვდილში დახმარების ლეგალიზების ფაქტის შესახებ ნიდერლანდებში. ამასობაში იქ (ხანშიშესული) ასაკოვანი ადამიანები საკუთარი სურვილით როდი ასრულებენ სიცოცხლეს კლინიკებში, არამედ მათი მემკვიდრეების სურვილით. ზოგი მოხუცებული ჯიბეში პატარა ბარათსაც ატარებს „ექიმო, გეთაყვა, მაცოცხლე!“. როგორც ჩანს, ოდესღაც ქრისტიანულ ღირებულებებს ამ კულტურაში ამოშანთვის უამი დაუდგათ.

ქრისტიანულ ღირებულებათა კულტურაში ადამიანის ღირსებისა და პატივის ღირებულებანი ეფუძნებოდა სიყვარულს. სიყვარულის გამო შექმნა უფალმა ადამიანი თავის ხატად და მსგავსად და პატივით შემოსა თავისი გადაწყვეტილება თავგანწირვის ფასად ქრისტეთი აღედგინა კვლავაც ეს სიყვარული.

პატივისცემა გამოიხატება მოძმის ღირსების, ღირებულებებისა და გადაწყვეტილებებისადმი ყურადღებაში.

სამუშაო პროცესშიც პატივისცემა გადმონაშთურ ღირებულებას წარმოადგენს, წარმოებაში მხოლოდ სოციალური გარემო გადაწყვეტს საუკეთესო თანამშრომლები დარჩებიან თუ სხვა საწარმოში გადავლენ. ადამიანები საუკეთესო მიღწევებს ხანგრძლივად ვერ განახორციელებენ შიშისა და ზეწოლის პირობებში. ამ პირობებში რასაც მაქსიმალურად შეიძლება მიღწეოთ ესაა „განაწესის შესაბამისად შრომა“. ამგვარი კულტურის მქონე საწარმოებს მომავალი არა აქვთ. ხანგრძლივად სასარგებლო და წარმატებულ მიღწევებს მხოლოდ მაშინ მივიღებთ, თუ ადამიანი შრომობს იმ გარემოცვაში, სადაც მას პატივს სცემენ, მისი ღირსება დაცულია, და იგი საჭიროა.

პასუხისმგებლობა - ეს გახლავთ პირველ რიგში საკუთარი თავის, ხოლო შემდეგ სხვის წინაშე. პასუხისმგებლობა გამოხატავს ადამიანის სიმწიფეს, ზრდასრულობას. ბავშვები ადანაშაულებენ მაგიდას, თუ მას დაეჯახებიან; დაძმა, ამხანაგები თამაშისას ერთმანეთს - და ეს წესი ადამიანებს ხანდახან სიკვდილამდე გაჰყვება ხოლმე; დამნაშავეა: მშობლები, სკოლა, ფირმა, მეუღლე, ხელისუფლება, ამინდი, კრიზისი... თავის ცხოვრებაზე არავინ იღებს პასუხისმგებლობას. ვის წინაშე ვაგებთ პასუხს? უპ. ყოვლისა ღვთის წინაშე. ეს უნდა გავაცნობიეროთ. სამწუხაროდ, ევროპის კონსტიტუციაში მასობრივი პროტესტის მიუხედავად ძლიერმა იდეოლოგიურმა ლობმა არ გაითვალისწინა პასუხისმგებლობა ღვთის წინაშე და 20 საუკუნის ისტორიიდან შემდგომი თაობებისათვის არ დააფიქსირა იგი.

პასუხისმგებლობა სხვების მიმართ ქრისტიანული ღირებულებების ის ნიშანია, რომლებიც მწარმოებლებმა გამოაჩინეს და რისი წყალობითაც გერმანიამ დაძლია სიღარიბე და შექმნა კეთილდღეობა.

შემდეგი ნიშანი მწარმოებლური პასუხისმგებლობისა არის დისციპლინა, როცა გრძელვადიანი მიზნის მისაღწევად უარს ამბობ მოკლევადიან სიტკბოებაზე. ეკონომიური წინსვლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა წინდახედული დაგეგმვა და ეკონომია (დაზოგვა) გარკვეული მიზნის მიღწევის თვალსაზრისით. გერმანიას ომის შემდეგ სწორედ ამან მოუტანა აღმავლობა, და მოგვცა მონოგამიაზე ორიენტირებული კულტურა ძლიერი ოჯახით.

68 წლის ნეომარქსისტულმა მოძრაობამ ამ ღირებულებებისათვის ძირის გამოთხრა მოინდომა. „სექსუალური“ თავისუფლების საბაბით გამოიწვიეს ბავშვების ნაადრევი სექსუალიზირება უკვე სასკოლო ასაკში. წუთიერ დაკმაყოფილებაზე უარის თქმა აღიქმებოდა როგორც ფსიქიური დაზიანება. არასასურველი ფენმძიმობა, რომელსაც არ შეელოდა არანაირი დაცვა. უპასუხისმგებლობა ჩასახულ სიცოცხლეზე სავარაუდო მამების მხრიდან. ერთგულების-ურთიერთობის პასუხისმგებლობის დაკარგვა არის ნიშანი იმ კულტურისა, რომელიც ადამიანს აცილებს მთავარს.

IV. ბრძოლა თავშეკავებისათვის

თავშეკავება ეკოლოგიური მოძრაობის დაწყებიდან კი არ გახდა ღირებულება (როდი იქცა ღირებულებად), რომელიც ახასიათებს დასავლეთის ქვეყნებს. დღეს თავშეკავებას ემუქრება საფრთხე, დაიყვანონ იგი ექსტრემალურად შეკვეცილ სპექტრამდე. იცავენ ცხოველებსა და მცენარეებს, არასასურველ ბავშვებს, თუმცა 100 ათასობით ეწირება აბორტს - რაც კატასტროფულად მოქმედებს მოსახლეობის განვითარებასა და ქალების ფსიქიკაზე. ფრაიბურგელი პროფ. ბერნდ რაფაელჰიუსენი (Bernd Raffaelhüsch) თავის მოხსენებებში აღნიშნავს, რომ უკანასკნელი 30 წლის მანძილზე აბორტით მოწყვეტილი ბავშვების რიცხვი აჭარბებს ორი მსოფლიო ომის დროს დაღუპულთა რიცხვს ერთად აღებულს. გარდუვალია საზოგადოების ასაკის დაბერება და პენსიონერთა და თაობათა რეგულაციის კრახი.

თავშეკავება ურთიერთობაში გარანტია ერის არსებობისათვის. ოჯახი ამ მიზნით გვთავაზობს ჩარჩოებს ჯანსაღი ახალგაზრდა თაობის პიროვნებად აღზრდისათვის. მარბურგელი მეურნე პროფ. ჰანს-გიუნტერ კრიუსელბერგი მოხსენებაში „ოჯახი კეთილდღეობის წყარო ღირსეულ ადამიანთა საზოგადოებაში“. ამბობს, რომ ინოვაციური და ეფექტური მეურნეობა და ამას გარდა დინამიური, გახსნილი საზოგადოება შესაძლებელია აღიზარდოს ოჯახში და სკოლაში, ნაგულისხმევია, რომ მოსახლეობის პროფესიული კვალიფიკაცია (განსწავლა), მათი სოციალური და საზოგადოებრივი კომპეტენცია, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა და მათი წარმადობა უპირველეს ყოვლისა დამოკიდებულია ოჯახური პირობებისა და აღზრდის სანდოობაზე. მხოლოდ ამის საფუძველზე შეიძლება აიგოს ზოგადი და პროფესიული განათლება.

ქრისტიანული ტრადიცია ყოველთვის ცენტრალურ ადგილს უთმობდა ოჯახის ერთგულებასა და მონოგამიას. გერმანიაში მკვეთრად იყო გამოხატული ოჯახის ერთგულება და მონოგამია. დღევანდელი სული ტრადიციულ ქორწინებასა და ოჯახს მოძველებულ ინსტიტუტად აცხადებს.

ამ თემასთან დაკავშირებით ბრიტანელმა ანთროპოლოგმა John D. Unwim-მა (ფროიდის თანამედროვე) გამოაქვეყნა მნიშვნელოვანი ფაქტები. სამწუხაროდ, საზოგადოება ხელგაშლით შეხვდა ზიგმუნდ ფროიდის დაუსაბუთებელ თეორიებს, ხოლო ფაქტები, რომლებიც Unwim-მა დღის სინათლეზე გამოიტანა, ყურადღება არ მიაქცია. მან XX საუკუნის დასაწყისისთვის 80 პრიმიტიული და 16 ცივილიზებული კულტურები 5000 წლიან დროის სივრცეში შესწავლა. მისმა კვლევებმა გამოაშკარავეს, რომ ყველა შემთხვევა

ერების დაღუპვისა იყო ამ ცივილიზაციებში ოჯახური მთლიანობის რღვევის შედეგი. ყველა შემთხვევაში ერების განადგურება იყო შედეგი 1-3 თაობის განმავლობაში ოჯახური სტრუქტურის რღვევისა. ეს შესწავლილი მასალა ემპირიული მტკიცებაა ოჯახის მნიშვნელობის დამადასტურებელი. მისი აღმოჩენებიდან ცხადი ხდება, რომ ნაციონალური განვითარების საფუძველს წარმოადგენს მონოგამიური ორიენტაციის ოჯახი და ოჯახის სფეროთი სექსუალობის შეზღუდვა.

ყველა ერს, რომელსაც სურს ჰქონდეს განვითარების ბაზა, ინვესტიცია უნდა ჩადოს ოჯახში, რადგან იგი არის ძირი გამრავლებისა და განვითარებისა.

1975 წ. გერმანიაში თავისუფალი გახდა პორნოგრაფია. მისი მხარდამჭერებისათვის 15 წლის თავზე შემზარავი გახდა ფაქტი ძალზედ გაზრდილი სექსუალური ძალადობისა. Alice Schwarzer-ი და მასთან ერთად ფემინისტური მოძრაობის წევრთა დიდი უმრავლესობა დღეს ებრძვიან იმას, რაც მაშინ წინა პლანზე წამოსწიეს. მაშინდელმა ჯანდაცვის მინისტრმა რენატე შმიდტმა 1990 წ. მხარი დაუჭირა ერთ-ერთმა პირველმა პორნოგრაფიის ლეგალიზაციასა და ლიბერალიზაციას, საქვეყნოდ განაცხადა, რომ ეს შეცდომა იყო.

68 წ. ნეომარქსისტულმა მოძრაობამ ოჯახის დაშლის პოლიტიკა გამიზნულად გაატარა.

სამეურნეო კრიზისს დღეს ყველა მხრიდან აკრიტიკებენ. იქნებ სამეურნეო (ეკონომიურ) კრიზისთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ ღირებულებათა კრიზისთან. გერმანიასა და ევროპაში მიმდინარეობს ღირებულებებთან ომი. არის ძალები, რომლებიც სწორედ იმ ღირებულებებს უცხადებენ ომს, რომლებიც ამტკიცებენ ეკონომიურ, სოციალურ, კულტურულ და სულიერ ძლიერებას, ცდილობენ გაანადგურონ ისინი. ეს ბრძოლა სხვა დონეზე, სულიერების, ღირებულებების დონეზე და არა ფიზიკური ძალის დონეზე. ამ ბრძოლაში საჭიროა გავაქტიურდეთ, გამოვიჩინოთ ინიციატივა და გავერთიანდეთ.

V. გამბედაობა ყველა სათნოების დედაა

გაბედულება სხვაგვარი სიმამაცვა - იგი დევს ყოველგვარი ინოვაციის საფუძველში, ესაა ნაბიჯის გადადგმა უცნობ სამყაროში. იგი, უპირველესად, „კონსტრუქციულ შეცდომათა კულტურის“ წინაპირობაა. ეს არ ნიშნავს, რომ დაუდევრობა წესია სამუშაოზე. ეს ნიშნავს, რომ დასაშვებია შეცდომის ვარიანტი, თუ მისგან რაიმეს ვისწავლით. ჩვენს დასავლურ კულტურაში იმდენად თავისთავად ცხადია და მისაღები დებულება „შეცდომა - მიტევა - ახალი წამოწყება“, რომ მის წარმომავლობაზე აღარც კი ვფიქრობთ. ერთმა შემთხვევამ დამანახვა ეს. მატარებლით ვმგზავრობდი ერთ ჩინელ

სტუდენტ გოგონასთან ერთად, რომელიც გერმანიაში სწავლობდა კულტურათა შედარებით მეცნიერებას. მან თქვა, რომ გერმანიაში ადამიანს შეუძლია დაუშვას შეცდომა და შემდეგ იგი აღიაროს, შენდობა მიიღოს. ჩვენთვის ეს ყოველად წარმოუდგენელია. მე ავუხსენი მას, რომ ეს შესაძლებელი გახდა 2000 წლის წინ, როცა იერუსალიმში ადამიანების შეცდომებისა და ცოდვების გამოსასყიდად ჯვარზე გაეკრა მაცხოვარი, მოკვდა და თავის მტრებს მიუტევა. ქრისტიანული ისტორია იცნობს გამომხსნელს, როგორც მიმტვევებელს. ამიტომ ამ კულტურულ არეალში შესაძლებელი გახდა ჩამოყალიბებულიყო აღიარება შეცდომებისა, რასაც კარიერის დასასრულისკენ კი არ მივყავართ, არამედ შენდობისა და კონსტრუქციული და კრეაციული განახლებისაკენ.

1970 წ. 7 დეკემბერს გერმანიის ფედერაციის რესპუბლიკის კანცლერმა ვილელი ბრანდტმა ვარშავის გეტოს მემორიალთან დაიხიქა და გვირგვინი დასდო და აღიარა პოლონელი ხალხის წინაშე გერმანელთა დანაშაული, თუმცა მას ამასთან არაფერი აკავშირებდა. აზიურ კულტურაში წარმოუდგენელი იქნებოდა მსგავსი რამ. იქ უნდა შეინარჩუნო სახე. ამგვარ მონანიებას კონფუციანურ ჩინეთში ავტორიტეტის დაკარგვა მოჰყვებოდა. თუმცა, სწორედ ასეთ მონანიებაში, ასეთ გაბედულებაში დევს უზარმაზარი პოტენციული ინოვაციების, კრეატიულობისა და თავისუფლებისათვის. შემთხვევითი როდია, რომ წარმატებების მქონე ბიზნესმენი კალიფორნიაში Google ისეთ თანამშრომლებს ეძებს, რომლებიც რისკზე მიდიან, ახალ წამოწყებებს გაბედულად ეკიდებიან და შეცდომებსაც უშვებენ. რა თქმა უნდა ამასთან განუყრელადაა დაკავშირებული ცოდვის მყისიერი აღიარება და მისი გამოსწორება. მაგრამ თუ შენდობა და შანსი ახალი წამოწყებისა არსებობს, მაშინ შეცდომის აღიარება ნაკლებ მტკივნეულია. ჩვენთვის არსებობს ეს შანსი და გვაიმედებს, მიუხედავად მრავალი დესტრუქციული განვითარებისა, რომელსაც ჩვენ იმ დროს შეწუხებულები განვიცდით.